

TO DETERMINATION OF VENTILATION AIR OF THE METRO OF TBILISI BY THERMAL FACTOR

Authors LANCHAVA O.A, NOZADZE G.C., ARUDASHVILI N.N., KHOKERASHVILI Z.Z.

Publication date 2017

Journal Mining Journal

Description It is established that the geothermal field of a massif around underground structures located above the neutral layer is non-stationary because of the influence of solar radiation. Below the above marked layer, the formation of the geothermal field of the subsoil is due to the process of depths and is stationary. The definition of these fields is necessary for the performance of the thermal physical calculation of the ventilation and the specification of the air consumption of the underground facilities of the metro by the thermal factor. The paper gives formulas, tables and graphs with the help of which it is possible to reliably determine the sought-for geothermal fields.

Volume 38

Issue 1

Pages 92-96

Publisher GEORGIAN MINING SOCIETY, GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY, LEPL G.
TSULUKIDZE MINING INSTITUTE

REFERENCES

1. СНиП II-44-78. Тоннели. Нормы проектирования. Москва, 1978.
2. Единая методика прогнозирования температурных условий в угольных шахтах. Макеевка-Донбасс, Издательство МакНИИ, 1979.
3. Building Climatology. Design standards. Tbilisi, 2008. p. 83 (Georgian).

ISSN 1512-407X

სამთო კურნალი

სამთო გეოლოგია
სამთო მეცნიერებები
სამთო მეცნიერებები
სამთო მეცნიერებები
სამთო მეცნიერებები
სამთო მეცნიერებები

1 (38)

Mining Journal
Горный Журнал

2017

МАХАРАДЗЕ Л.И., СИЛАГАДЗЕ В.А., ДЖАНГИДЗЕ
М.В., СТЕРЖКОВА С.И.
**ВЛИЯНИЕ ПУЛЬСАЦИЙ ДАВЛЕНИЯ В
МАГИСТРАЛЬНЫХ ТРУБОПРОВОДАХ
ГИДРОТРАНСПОРТНЫХ СИСТЕМ НА
НАДЕЖНОСТЬ И ЭФФЕКТИВНОСТЬ СИСТЕМ**

В статье рассмотрен вопрос влияния пульсаций давления в магистральных трубопроводах напорных гидротранспортных систем на надежность и эффективность, так как такие пульсации в анало-

гичных системах возникают очень часто, даже при процессах, предусмотренных технологией эксплуатации (при запуске и остановке последовательно включенных в трубопроводной магистрали грунтовых насосов); даны результаты экспериментальных исследований таких процессов, проведенных на лабораторных установках и крупных промышленных системах; даны также результаты анализа таких процессов и рекомендаций для их предотвращения, которые будут способствовать повышению надежности, ресурса эксплуатации и эффективности рассмотренных систем.

უაპ 622.4.536.24:624.191.94

თექ. მეცნ. დოკტორი, პროფ. თ. ლაჩიავა, აკად. დოკტორი გ. ნოზაძე,
აკად. დოკტორი ნ. არუშავიშვილი, დოკტორანტი ზ. ხოჭილავა
სითბური ფაკულტეტის მიწერის თავისი განვითარების
პრინციპის განვითარებისათვის

ნაშრომში დადგენილია, რომ ნეტტოალური ჰრის ზემოთ გაორგებული ნაგებობებისათვის სამთო მასივის გეოტემპერატურულ კლეის აქვს არასტაციონარული ხასიათი, რადგან განიცდის მზის რადიაციის გავლენას, ხოლო პივონიმუქტრულად უფრო ღრმა ჰორიზონტებზე აღნიშნული კლეის სტაციონარულია და ტემპერატურის სიდიდე მოლიანად განპირობებულია მიწისქვეშ მიმდინარე პროცესით. აღნიშნული კლეის დადგენა აუცილებელია გრიფოლაციის თბოვაზეური გამნერიშებისა და მტროს მიწისქვეშ ნაგებობებისათვის საჭირო სავარტილაციო პერის ხარჯის დაზუსტებისათვის სისტერის ფაქტორის მიხედვით. ნაშრომში მოცემულია ფორმულები, ცხრილები და გრაფიკები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სამთო მასივის გეოტემპერატურული კლეის სარწმუნო განსაზღვრა.

სამუშაო შესრულებულია შეთა რუსთაველის ქრონიკული სამუშაოების ფონდის 216968 გრანტის დაფინანსებით.

მეტროს სავარტილაციო სისტემაში ჰარის ხარჯის განვარიშება ხდება მიწისქვეშა ნაგებობების შემდეგი ძირითადი მაჩვნებლების მიხედვით: მგზავრების რიცხვი; მიწისქვეშ გამოყოფილი მავნე აირები, სითბო და ტენი; ჰარიცვლის ჯერადობა. საბოლოოდ აიღება რომელიმე ფაქტორის მიხედვით განსაზღვრული ჰარის ის ხარჯი, რომელიც ყველაზე მეტი გამოვა.

სავარტილაციო ჰარამეტრების დადგენისა და სავარტილაციო რანადაგარების შერჩევის მიზნით აღნიშნული განვარიშება პრაქტიკულად შემდეგნაირად ხორციელდება: ანგარიშობები ჰარის ხარჯს მგზავრების რაოდენობის მიხედვით – “პიკის საათის” პირობებში 1 ადამიანზე უნდა მოდიოდეს მინიმუმ 50 მ³/სთ ჰარი. როგორც წესი, ჰარის აღნიშნული რაოდენობა უზრუნველყოფს მგზავრების სენტივისა და სხეულიდან აორთქლების შედეგად მიწისქვეშა სივრცეში გამოყოფილი ტენის ასიმილაციას და ამ უკანასკნელი მაჩვნებლის მიხედვით, ჰარის ხარჯის გაკონტროლება, პრაქტიკულად საჭირო აღარ ხდება. ამის შემდეგ ანგარიშობები სამთო მასივიდან გამოყოფილი მავნე აირების უსაფრთხო კონცენტრაციამდე დასავანი ჰარის ხარჯს და შემდეგი განვარიშებისათვის მაღაში

ტოვებენ მაქსიმალურ სიდიდეს.

აღნიშნული ფაქტორების მიხედვით დადგენილი ჰარის მაქსიმალური ხარჯი აღება საბაზოდ და მოწმედება ჰარიცვლის ჯერადობის მაჩვნებლის მიხედვით შემდეგი ფორმულით

$$k = \frac{L}{V}, \quad (1)$$

სადაც k არის ჰარიცვლის ჯერადობის მაჩვნებელი, სთ⁻¹; L – ჰარის მოცულობითი საათური ხარჯი (მაქსიმალური საბაზო), მ³/სთ; V – მეტროს მიწისქვეშა ნაგებობების ჯამური მოცულობა, მ³.

იმ შემთხვევაში, თუ ჰარიცვლის ჯერადობა $k \geq 3$ მაშინ ძალაში ტოვებენ ანგარიშით მიღებულ ჰარის ხარჯის, ხოლო თუ $k < 3$, მაშინ ჰარის ხარჯის გადაანგრიშება ხდება პირობიდან $k = 3$, საბოლოოდ აიღება ამ გზით მდებარებული სიდიდე და სავარტილატორო დანადგარებიც შესაბამისად შეირჩევა.

შედარებით როგორია გამოყოფილი სითბოს განეიტრალუებისათვის საჭირო ჰარის რაოდენობის დადგენა, რადგან მიწისქვეშ მიმდინარეობს თბოვადაცემის როტული არასტაციონარული პროცესი, რაც შედეგია სამთო მასივსა და სავარტილაციო ნაკადს შორის ენერგიის მიმოცვლისა. წინამდებარე ნაშრომი მიძლვნილია ამისავალი სიდიდეების – სამთო მასივის ბუნებრივი ტემპერატურის განსაზღვრისადმი დედამიწის ზედაპირიდან ნებისმიერ სიღრმეზე განლაგებული სადგურების, გადასარბებებისა და სხვა მიწისქვეშა ნაგებობებისათვის. გამარტივებული სახით ამ შემთხვევაში გვირაბი შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს წრიული ფორმის გავრცელებილი ღრუ ცილინდრის სახით, რომელშიც მოძრაობს ჰარი და თბომიმოცვლას ახდენს გარშემომცველ უსასრულო სამთო მასივთა.

თბოფიზიკური გაანგარიშების სირთულეს აგრეთვე განაპირობებს სითბოს გამოყოფის მრავალი წყარო – მატარებლები, მგზავრები, ესკალატორები, ტრანსფორმა-

ტორები, დენის გამართველი, გამანაწილებელი და მიმწოდებელი მოწყობილობები, მათი თბოფიზკური გაანგარიშების მრავალფეროვნება, აგრეთვე სამთო მასივზე სითბოს გადაცემის პროცესის რთულად შეფასების საკითხი გამაგრების შრეებისა და მათი თბოფიზკური მახასიათებლების გავლენის მხედველობაში მიღების საჭიროების გამო.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში თბილისის მეტროში მოძრაობის სიხშირე არის მაღალი, დამახასიათებელია ინტენსიური მოძრაობა, ხოლო ანალოგიურ პირობებში აუცილებელია მეტროს გვირაბების ვერტილაციის თბოფიზიკური გაანგარიშება. “მოძრაობის პირობითი ინტენსიურობა” განისაზღვრება ფორმულით

$$n = n_1 n_2 \geq 120, \quad (2)$$

სადაც n არის “მოძრაობის პირობითი ინტენსიურობა”; n_1 - მგზავრების რიცხვი ერთ ვაგონში; n_2 - ვაგონების რიცხვი შემადგენლობაში.


როგორც ფორმულიდან ჩანს, მოძრაობის პირობითი ინტენსიურობის კრიტიკული მაჩვნებელი “120”, შესაძლებელია გვეკნეს 3-ვაგონიანი მატარებლების შემთხვევაშიც, თუმცა მიღებულია, რომ შემადგენლობაში უნდა იყოს 5 ვაგონი და მოძრაობის სიხშირე “პიკის საათში” ორიგე მიმართულებით უნდა იყოს მინიმუმ 24 წყვილი მატარებელი [1]. ასეთ პირობებში აუცილებელია ჰაერის ხარჯის თბოფიზიკური გაანგარიშებით დადგენა.

თბოფიზიკური გაანგარიშების მართებული შესრულებისათვის აუცილებელია ხელთ გვქონდეს სარწმუნო მონაცემები: გრუნტში მიმდინარე გეოთერმული პროცესების შესახებ, ქანების თბოფიზიკური მახასიათებლების

შესახებ და ვიცოდეთ აგრეთვე თბოფაცემის ხასიათი ორკომპონენტისთვის თერმოლინამიკური სისტემის “სამთო მასივი – სავენტილაციო ჰაერი” გამყოფ ზედაპირზე [2].

როგორც აღნიშნა, თბოფადაცემის პროცესები მიწისქვეშა ნაგებობებში ყოველთვის არასტაციონარულია, რომლისგანაც უნდა გავმიჯნოთ სამთო მასივის გეოტემპერატურული ველის მდგომარეობა, რომელსაც შესაძლებელია ექნეს როგორც სტაციონარული, ისე არასტაციონარული ხასიათი. გეოტემპერატურული ველი სტაციონარულია შედარებით დიდ სიღრმეზე, “ნეიტრალური შრის” ქვემოთ განლაგებული სადგურებისა და გადასარბენების შემთხვევაში, როცა გარშემომცველი სამთო მასივის ტემპერატურა აღარ არის დამოკიდებული მზის რადიაციაზე და განპირობებულია წიაღში მიმდინარე პროცესებით (იხ. ნახ. 1), რომლებიც სეზონური ცვალებადობით არ ხასიათდებიან.

ასეთ შემთხვევაში სამთო მასივის ბუნებრივი ტემპერატურის განსაზღვრა პირველი მიახლოებით შესაძლებელია გეოთერმული გრადიენტისა და ნეიტრალური შრის მასისათვებელი სიღრდეების მეშვეობით. ნეიტრალური შრე არის ის წარმოსახვითი შრე სამთო მასივში, რომლის ფარგლებშიც ტემპერატურა წლის განმავლობაში არ იცვლება. ნეიტრალური შრის ზემოთ განლაგებულ გრუნტში ტემპერატურა იცვლება მზის რადიაციაზე დამოკიდებულებით და განიცდის როგორც სეზონურ, ასევე ღღღღამურ ცვალებადობას. ნეიტრალური შრის ქვემოთ განლაგებულ სამთო მასივში ტემპერატურა სიღრმის ზრდით განუხრელად მატულობს, რასაც დედამიწის სიღრმეში მიმდინარე გეოლოგიური პროცესები განაპირობებს. ნეიტრალური შრე ხასიათდება მისი ტემპერატურით და ზედაპირიდან განლაგების სიღრმით.



ნახ. 1. სამთო მასივის ბუნებრივი ტემპერატურის განსაზღვრის ილუსტრაცია სტაციონარული გეოტემპერატურული ველის პირობებში: Δ – ნეიტრალური შრის დამორჩენება დედამიწის ზედაპირიდან (იგი იმეორებს დედამიწის რელიეფის ფორმას), მ; t_0 – ნეიტრალური შრის ტემპერატურა, $^{\circ}\text{C}$; t_1 – გაუცილებული ქანების ტემპერატურა გვირაბის გარშემომცველ სამთო მასივში, $^{\circ}\text{C}$; 0.00, 5.00 – გვირაბის საგები გვერდისა და ჭერის პირობითი ნიშნული, მ

ნეიტრალური შრის ტემპერატურა თბილისის რაიონების მიხედვით გაანგარიშდა და მოცემულია ცხრილში 1, ხოლო ზედაპირიდან განლაგების სიღრმე - ცხრილში 2.

ცხრილი 1

ნეიტრალური შრის ტემპერატურა თბილისის რაიონების მიხედვით

რაიონი	ტემპერატურა, °C	რაიონი	ტემპერატურა, °C	რაიონი	ტემპერატურა, °C
ავჭალა	12,4	დიღომი	12,3	ობსერვატორია	12,7
აეროპორტი	12,3	დიდუბე	12,6	საბურთალო	12,2
ბოტ. ბალი	12,8	ვარკეთილი	11,5	ფონიჭალა	12,7
გლდანი	12,0	ლილო	12,1	ღრმაღელე	11,9
დ/დიღომი	12,6	მთაწმინდა	10,8	-	-

ცხრილი 2

ნეიტრალური შრის ჩაწოლის სიღრმე (Δz) დედამიწის ზედაპირიდან

რაიონი	სიღრმე, მ	რაიონი	სიღრმე, მ	რაიონი	სიღრმე, მ
აგჭალა	28,4	დიღომი	28,0	ობსერვატორია	-
აეროპორტი	29,3	დიდუბე	28,0	საბურთალო	28,4
ბოტ. ბალი	30,3	ვარკეთილი	28,4	ფონიჭალა	28,3
გლდანი	30,0	ლილო	30,0	ღრმაღელე	29,8
დ/დიღომი	28,7	მთაწმინდა	35,3	-	-

გვირაბის ირგვლივ განლაგებული სამთო მასივის ბუნებრივი ტემპერატურა შესაძლებელია განისაზღვროს ფორმულით

$$t_1 = t_0 + \beta z, \quad (3)$$

სადაც t_1 არის გაუცივებული ქანების ტემპერატურა გვირაბის გარშემომცველ სამთო მასივის გვირაბის ზედაპირის მიხედვით, °C; t_0 - სამთო მასივის ნეიტრალური შრის ტემპერატურა, °C; β - მოცემული რაიონის გეოთერმული გრადიენტი (ქანების ტემპერატურის ნამატი 1 მ-ის ჩაღრმავებით ნეიტრალური შრის ქვემოთ), °C; Z - გვირაბის განლაგების სიღრმე ნეიტრალური შრის ქვემოთ.

გვირაბის განლაგების სიღრმე ნეიტრალური შრის ქვემოთ Z გამოითვლება შემდეგნაირად: ვთქვათ ცნობილია, რომ გვირაბი გადის დაღუბის მონაცემზე, გვირაბის საგები გვერდი დაშორებულია დედამიწის ზედაპირიდან 65 მ-ით. ცხრილი 2-ის მიხედვით, ნეიტრალური შრის ჩაწოლის სიღრმე შეადგენს 28 მ, ხოლო $Z = 65-28 = 37$ მ.

(3) ფორმულაში შემავალი დაყვანილი გეოთერმული გრადიენტის რიცხვითი სიღრმეები იცვლება როგორც გეოგრაფიული ადგილმდებარების, ასევე სიღრმის მიხედვით. მისი რიცხვითი სიღრმე იანგარიშება თბილისის კველაზე დაბალი წერტილის (დიდუბე, 428 მ), მიხედვით შემდეგი ფორმულით


$$\beta = \beta_0 - 0,012\Delta h, \quad (4)$$

სადაც β არის დაყვანილი გეოთერმული გრადიენტის რიცხვითი სიღრმე, °C/მ; Δh - ადგილმდებარების სიმაღლის ნამატი დიდუბის ნიშნულთან შედარებით, მ;

$$\beta_0 = 0,0357 - \text{გეოთერმული გრადიენტის რიცხვითი სიღრმე დიდუბისათვის, } ^\circ\text{C/მ.}$$

როგორც აღნიშნა, გეოტემპერატურული ველი არასტაციონარულია მცირე (20 მ-მდე) და საშუალო სიღრმეზე აგებული ნაგებობების შემთხვევაში, რომლებიც ჰიტსომეტრულად განლაგებული არიან “ნეიტრალური შრის” ზემოთ და განიცდიან ტემპერატურის სეზონურ ცვალებადობას მზის რადიაციის ცვალებადობასთან ერთად.

აღნიშნულ არეალში სამთო მასივის ტემპერატურული ველის შესაფასებლად გამოიყენებულია შემდეგი საშუალო მაჩვენებლები ქ. თბილისისათვის: ნეიტრალური შრის საშუალო ტემპერატურა - 12,3 °C, ნეიტრალური შრის განლაგების საშუალო სიღრმე დედამიწის ზედაპირიდან - 30,0 მ, პაერის საშუალო ტემპერატურა მრავლწლიანი დაკვირვებების მიხედვით - 12,3 °C. ნიშანდობლივია, რომ ნეიტრალური შრისა და პაერის საშუალო ტემპერატურა ქ. თბილისისათვის ერთნაირია, რაც იმით აისწება, რომ ზამთარში თოვლის საფარი და ზაფხულში მწვანე საფარი შედარებით ნაკლებად არის წარმოდგენილი. შესაბამისად, დედამიწის ზედაპირი არ არის საკმარისად იზოლირებული მზის პირდაპირი რადიაციის გავლენისაგან.



ნახ. 2. სამთო მასივის ბუნებრივი ტემპერატურის განსაზღვრის იღუსტრაცია
არასტაციონარული გეოტემპერატურული ველის პირობებში: 1 – ექსპერიმენტული გეოთერმოგრამა;
2 – გაწრფივებული გეოთერმოგრამა

როგორც ნახ. 2-დან ჩანს, ზამთრის პირობებში, როცა ყველაზე ცივი 5-დღიურის ტემპერატურა არის - 8 გრადუსი, დღემიწის ზედაპირიდან 20 მ სიღრმეზე სამთო მასივის ტემპერატურა ექსპერიმენტული გეოთერმოგრამის მიხედვით არის $4,2^{\circ}$, ხოლო გაწრფივებული გეოთერმოგრამის მიხედვით – $4,8^{\circ}$. სიზუსტე 10-15 % დააპაზონში დასაშვებია საინჟინრო თბოფიზიკური განვარიშებებისათვის.

ამგარად:

- სამთო მასივის გეოტემპერატურული ველი სტაციონარულია „ნეიტრალური შრის“ ქვემოთ განლაგებული სადგურებისა და გადასარბენებისათვის, რაც განპირობებულია წიაღში მიმდინარე პროცესებით,

ხოლო პიფსომეტრულად უფრო მაღალ ნიშნულზე არსებული ნაგებობებისათვის აღნიშნული ველი ხასიათით არასტაციონარულია და მასივის ტემპერატურა განიცდის სეზონურ ცვალებადობას მზის რადიაციის გავლენით;

– წარმოდგენილი მასალის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს მეტროს ვენტილაციის თბოფიზიკური გაანგარიშებებისათვის საჭირო ამოსავალი მონაცემები:

- სამთო მასივის გეოტემპერატურულიველის მახასიათებელი ტემპერატურები წელიწადის ნებისმიერი პერიოდისათვის, როგორც ძრმა განლაგების, ისე შედარებით ნაკლებ სიღრმეზე განლაგებული მიწისქვეშა ნაგებობებისათვის.

ლიტერატურა

1. СНиП III-44-78. Тоннели. Нормы проектирования. Москва, 1978. 22 с.
2. Ш.И. Ониани, О.А. Ланчава. Методика прогнозирования температурного режима шахт в осложненных условиях. В кн.: Единая методика прогнози-

рования температурных условий в угольных шахтах. Макеевка-Донбасс, 1979. с. 75-92.

3. სამშენებლო კლიმატოლოგია (36 01.05-08), დამტკიცებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 25 აგვისტოს 1-1/1743 ბრძანებით როგორც დაპროექტების ხორმა, თბილისი. 83 გვ.

of the subsoil is due to the process of depths and is stationary. The definition of these fields is necessary for the performance of the thermal physical calculation of the ventilation and the specification of the air consumption of the underground facilities of the metro by the thermal factor. The paper gives formulas, tables and graphs with the help of which it is possible to reliably determine the sought-for geothermal fields.

LANCHAVA O., NOZADZE G., ARUDASHVILI N.,
KHOKERASHVILI Z.
DETERMINATION OF VENTILATION
AIR OF THE METRO OF TBILISI BY
THERMAL FACTOR

It is established that the geothermal field of a massif around underground structures located above the neutral layer is non-stationary because of the influence of solar radiation. Below the above marked layer, the formation of the geothermal field

ЛАНЧАВА О.А., НОЗАДЗЕ Г.Ч., АРУДАШВИЛИ Н.Н.,
ХОКЕРАШВИЛИ З.З.
**К ОПРЕДЕЛЕНИЮ ВЕНТИЛЯЦИОННОГО
ВОЗДУХА ТБИЛИССКОГО МЕТРОПОЛИТЕНА
ПО ТЕПЛОВОМУ ФАКТОРУ**

В работе установлено, что геотемпературное поле горного массива вокруг подземных сооружений, расположенных выше нейтрального слоя, носит нестационарный характер из-за влияния солнечной радиации. Ниже отмеченного слоя

формирование геотемпературного поля недр обусловлено глубинными процессами земной коры, а само поле является стационарным. Определение этих полей необходимо для выполнения теплофизического расчёта и уточнения расхода вентиляционного воздуха подземных сооружений метро по тепловому фактору. В работе даются формулы, таблицы и графики, с помощью которых можно достоверно определить искомые геотемпературные поля.